№ 255 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეოთხე

ფასი 1 მან. სამშაბათი 11 ნოემბერი 1919 წ.

მთავრობის მოამგე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალით, № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

დამწუხრებული შვილის შვილები გრიგოლ, პაველ და ლავრენტი მაჩვარიანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავის საყვარელი დიდედა

ელინტია ავალიშვილის ასული მაჩვარიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 13 ნოემბერს (ახ. სტ.) სოფ. საქარისქედში

გიორგი ივანეს ძე მესხიშვილი მეუღლე ელენეთი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს გიორგობისთვის 11-ს ქ. გორის საბების ეკლესიაში გადაბდილ იქნება წლის წირვა უძვირფასესი და სიყვარულით აღსავსე დედის

ბაბოს (ბარბარე)

სულის მოსახსენებლად; პანაშვიდი განსვენებულის საფლავზედ ეკლესიის ეზოში. წირვა დაიწყება 10 საათ. 95 1—1

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. მ. ეგლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

სამშაბათს ნოემბრის 11-ს ვოლ-ლევიჩკაიას, ზალიპსკის, ისკანდერის, ისეცკის დემიანენკო ეზროვის მონაწილეობით **მანონ** ოთხშაბათს ნოემბერის 12-ს, „აბესალომ და ეთერი", ხუთშაბათს ნოემბრის 13-ს მ. ს. ღავიდოვის პირველ გასტროლი „სევილელი დალაქი". პარასკევს ნოემბრის 14-ს „ტრავიატა", შაბათს ნოემბრის 15-ს მუშებისათვის ოპერა „დემონი", კვირას ნოემბრის 16 ს „აიდა". 101

საქართვ. ცენტრ. კოოპერატ. კავშირის ქართული დრამატიული სტუდია.

არტისტული საზოგადოების თეატრი

ოთხშაბათს, გიორგობისთვის 12 ს 1919 წ. საღამოს 8 საათზე ჰ. ჰაუპტმანი

ჰანელე.

სანახაობა 2 მოქმ.

ე. როსტანი **რომანტიკოსნი** კომედია 1 მოქმ.

შემდეგ: სარწმუნოება, თეთრი ვახშამი, ავგაროზი.

რეჟისორი მ. ჭორელი. რეჟისორის თანაშემწე გ. ერისთავი.

შედგენილობა,—ქალნი: ანჯაფარიძე ვ., გამრეკელი ბ., ეპიტაშვილი ს. ნოლდე ნ. ქიქოძე ან. ლომაკურიძე ელ. ღლონტიძე თ. წერეთელი ნ. ჰაიგაძე ს. ჩიკვინიძე ნ. **ვაუნი:** აბაშიძე ვანო. ანთაძე ბოჭორიშვილი მ. გელოვანი მ. გულიაშვილი მ. ერისთავი გ. ციხაძე წ. თაბაშვილი გ. სარჩიმელიძე გ. ჭორელი მ. შათირიშვილი კ. ღამბაშიძე შ. ძნელაძე დ. ყიფშიძე გ. ჰაიგაძელი მ. ჯაბადარი გ. ვასაძე ა. **რეჟისორნი.** ჭორელი მ. შათირიშვილი კ. ჯაბადარი გ. **სანახაობრივ საბჭო:** ამირეჯიბი შ. ერისთავი ნ. შარაშიძე შ. ცაგარელი ვ. გოგებაშვილი შ. ჰავთაძე პ. შევარდნაძე დ. **რეჟისორის თანაშემწე:** ერისთავი გ. **სცენარიუსი:** ანთაძე ი. **ხუფლიორნი:** ბოჭორიშვილი ს. გულიაშვილი მ. **დეკორატორნი:** ბაგატრიონი პ ნალბანდოვი გ. **უფროსი მცერვალი:** სიზრანოვი ა. **შიკრიკი** სიდამონიძე ი.

97 3—1 სტუდიის დირექტორი გ. ჯაბადარი

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა

საჭიროებს გამოცდილ **ბუჰლგალტერს** კავშირის მთავარ ბუჰლგალტერიის თანამდებობისათვის.

ჩსურვილთ ვთხოვთ მოგვაწოდოთ ცხობები თავის შესახებ წერილობით ხუთი დღის განმავლობაში დღიდან ამ გვარ ხადების გამოქვეყნებისა კავშირის მთავარ კანტორაში (ტფილისი, გლდანის შე ახვევი, სახლი № 15). აუცილებელია ქართული ენის ცოდნა.

„ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირი საჭიროებს აგრეთვე სავაჭრო კორესპონდენტს. გარდა ქართული და რუსული ცოდნისა აუცილებელია ევროპიულ ენების ცოდნა. 1—1 96

განცხადება

1899 წელში დაბადებულ ახალგაზრდა მოქალაქეთა სამხედრო გეგრის მოსახდელად განვევაზე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 1899 წელში დაბადებულ ახალგაზდა პირთა ჯარში გამწვევი და მიმღები კომისია მიმდინარე წელს შეუდგება თავის მოვალეობას ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სახედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოსთან (ყოფილ სამხედრო უფროსის სამმართველოსთან, ვაგზლის ქუჩაზე, სახლი თამამშევის) შესაკრებ ადგილზედ, განსაკუთრებულ შენობაში, ქვემო აღნიშნულ დღეებში, დილის 8 საათიდან: 15 ნოემბერს, შაბათს, იმ პირთა ჯარში გასაწვევად, ვისაც არ მოეპოვება წლოვანობის დასამტკიცებლად მეტრიკული მოწმობები, მაგრამ საკმილო სიის ჩვენებით ან გარეგან შეხედულებით შეტანილნი არიან ჯარში გასაწვევ პირთა სიაში. ამათ გარდა იმ პირთა გასაწვევად, რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წლის იანვარში და თებერვალში:

16 ნოემბერს, კვირას იმ ახალგაზრდა პირთა ჯარში გასაწვევათ რომლებიც არიან დაბადებულნი **მარტში** და **აპრილში.**

17 ნოემბერს, ორშაბათს, ვინც არიან დაბადებულნი **მაისსა** და **ივნისში.**

18 ნოემბერს, სამშაბათს, ვინც არიან დაბადებულნი **ივლისსა** და **აგვისტოში.**

19 ნოემბერს, ოთხშაბათს, ვინც არიან დაბადებულნი **სექტემბერში** და **ოქტომბერში.**

20 ნოემბერს, ხუთშაბათს, ვინც არიან დაბადებულნი **ნოემბერში** და **დეკემბერში.**

21 ნოემბერს, პარასკევს, იმ პირთა გასაწვევად, რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წ. მიწერილნი არიან სამხედრო ბეგრის მოსახდელად რესპუბლიკის ქალაქებში ან მაზრებში, მაგრამ **ამ წ. 21 ნოემბერს** სცხოვრებენ ქალ. ტფილისში.

შენიშვნა: განსაკუთრებული სიამ ადგილობრივ მოქალაქეთა, რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წ. და შეტანილი არიან ქალ. ტფილისის მოქალაქეთა ჯარში გასაწვევ სიაში, გამოიკიდება საყოველთაო საცნობელად ტფილისის ყველა უბნებში.

მიმდინარე წელს ჯარში გაწვევის დროს მოქალაქეთ უნდა მიიღონ მხედველობაში შემდეგი:

1. გაწვეული ახალგაზდანი, მოვალენი არიან თავის დაბადების დროის მიხედვით, უეჭველად გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილზე და ვადაზე და თან უნდა იქონიონ ბაშფორთი ან სხვა რაიმე მოწმობა თავისი პიროვნების დასამტკიცებლად.

2. ის ადგილობრივი მოქალაქენი, რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წ., მაგრამ რაიმე მიზეზებისა გამო არ არიან შეტანილნი ქ. ტფილისის ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა სიაში, მოვალენი არიან, რათა აიცილონ თავიდან კანონიერი პასუხისგება, გამოუცხადონ ეს ქალაქის გამგეობის სამხედრო განყოფილებას **15 ნოემბრამდე** და თან წარუდგინონ წლოვანობის საბუთად მეტრიკები; მხოლოდ ვინც მათგანი ამას ვერ მოასწრობს 15 ნოემბრამდე, უნდა გამოუცხადოს თვით მიმღებს კომისიას დანიშნულ გასაწვევ დღეებში.

3. ერთად-ერთი ოჯახის მარჩენელი, თანახმად 1919 წ. 20 მაისის კანონისა, იქნება განთავისუფლებული ჯარში გაწვევისაგან ლაშქარში ჩარიცხვით, თუ ის წარადგენს ამაზედ სათანადო მოწმობას, რომელიც უნდა მიიღოს მან ტფილისის თვითმართველობისაგან ან სამაზრო ერობის გამგეობისაგან.

4. საშუალო სკოლის მოწაფენი, რომლებიც წარმოადგენენ სათანადო მოწმობებს, სამხედრო ბეგრის ვადა გადაედებათ 21 წლის შესრულებამდე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წელს, არა აქვთ უფლება სამხედრო ბეგრის ვადის გადადება და ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ამ ბეგრის მოსახდელათ.

5. სამართალში მიცემული და გამოძიებაში მყოფი პირნი ისეთ საქმეებისათვის, რომელიც გულისხმობს უფლების აყრას ან შეზღუდვას, სამხედრო ბეგრის მოსახდელად არ გაიწვევიან, ვიდრე მათი საქმე არ გათავდება.

6. არავითარი სამსახური არც კერძო, არც საზოგადო, არც მთავრობის დაწესებულებებში (გარდა სამხედრო სამსახურისა), არც სახალხო გვარდიაში და არც მილიციაში არ ანთავისუფლებს მოქალაქეთ ჯარში გაწვევისაგან;

7. თანახმად დამფუძნებელ კრებისაგან 1919 წ. 2 აგვისტოს მიღებულ დეკრეტისა შესახებ სამხედრო ბეგარის აუცრულებლობის და ამ დანაშაულის დაფარვის და წაქეზებისა, თუნდაც წამქეზებელი და დამხმარე მშობელი ან სხვა ახლო ნათესავი იქნეს, დამნაშავე დაისჯება იმ წესით, რომელიც აღნიშნულია ხსენებულ დეკრეტის 1 და 3 მუხლში და განსაზღვრულია ბოროტ მოქმედებაში მონაწილეობისათვის სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა დებულების მე-120, 121 და 124 მუხლებში. 94 3—2

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

ქართველ მხატვართა საზოგადოების შემოდგომის გამოფენა.

1. **ქართველ მხატვართა საზოგადოება მართავს მხატვართა საერთო გამოფენას.**
2. გამოფენაზე მონაწილეობა შეუძლია მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მხატვარს.
3. გამოფენაზე მონაწილეობის მოსურნე მხატვარი ვალდებულია ჩაიწეროს განსაკუთრებულ სიაში საზოგადოების სადგომში (რუსთაველის პრ. № 13). ნოემბრის 4—10 მდე 5 საათ 7 საათამდე.
   ა) კომისიის მიზანი არის შეძლება მისცეს მხატვართ გამოფენაზე შეჯგუფებისა მიმართულების მიხედვით.
4. გამოფენისთვის სურათების მიღება ხდება ნოემბრის 10—15-მდე დღის 12 ს.—2 საათ.
5. ვერნისაჟის დღე გამოცხადებული იქნება საგანგებოთ.
   ა) განსაკუთრებული მოწვევის ბარათები მხატვრებს არ დაეგზავნებათ.

გამოფენის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე **შ. ჭიჭოძე.**
მდივანი დ. **შევარდნაძე.**

7—7

გ. გ. ადელხანოვის სააქციო საზოგადოების გამგეობა

აცნობებს საზოგადოებას, რომ მის მაღაზიაში (სომხების ბაზარი, ტფილ. საკრედ. საზ. შენობაში) მიღებულია ტყავისა და ჩულის დიდძალი საქონელი საკუთარ წარმოებისა, ფაბრიკის ფასებში. 2—2 91.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფო აცხადებს,

რომ 13 ნოემბერს დილით ხუთშაბათს, დილის ათი საათიდან არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა ძველი ტანსაცმელისა დარჩენილი სხვა და სხვა პირის სიკვდილის შემდეგ. 3—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისა.

7 ნოემბერი, 1919 წ. № 8.

I. დამფუძნებელი კრების კანცელარიის მანქანით გადამწერი თინათინ ყიფიანისა, მისივე თხოვნის თანახმად, განთავისუფლებულია თანამდებობისა და სრულიად სამსახურიდან, ამა ნოემბრის 1-დან.

II. მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრების კანცელარიის სამსახურში და დაინიშნა მანქანით გადამწერის თანამდებობაზედ ლიონინა ვანიძისა, ამა ნოემბრის 6-დან.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

—

საქართველოს სენატისა.

3 ნოემბერი 1919 წ. № 2.

საქართველოს სენატის განკარგულებით ინიშნებიან: ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგები ნესტორ მათეს ძე იამანიძე და მელიტონ მიხეილის ძე ჭეიშვილი იმავე სასამართლოს წევრებათ, ორივე 3 ნოემბრიდან 1919 წლისა.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე **დ. ხელთუფლიშვილი.**

—

მიწათ-მოქმედების სამინისტროსი.

16 ენკენისთვე, 1919 წ., № 304.

ევალება: მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭოს წევრს ა. ქ. როლოვს ტფილისის ბოტანიკურ ბაღის და მის განყოფილებათა გამგის თანამდებობის დროებით აღსრულება ამა წლის ღვინობისთვის 1-დან, მინისტრის საბჭოს წევრად დატოვებით.

მინისტრის ამხანაგი **პ. გელეიშვილი.**

17 ენკენისთვე, 1919 წ. № 305.

ინიშნება: ა. ი. გოიშვილი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწედ თანამდებობის აღმასრულებლად.

№ 306.

ინიშნება: დ. ი. ჭოჩაშვილი მეორე ხარის-

ხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად 2 ენკენისთვიდან 1919 წ.

№ 307.

ინიშნება: მ. მ. აზადანოვი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

№ 308.

ინიშნება: შ. გ. გულისაშვილი საქმის მწარმოებლის თანაშემწედ, სატყეო განყოფილებაში 3 ენკენისთვიდან.

19 ენკენისთვე, 1919 წ. № 309.

დათხოვნილნი არიან თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ი. პ. ხოსიკურიძე და ი. ი. ბაქრაძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწენი.

№ 310.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ქუთაისის ოლქ. სამეჯნაო სამუშაოთა გამგე კალეუხოვი 1919 წ. 1 მარტიდან, თანახმად თხოვნისა.

გადაყენებულია თანამდებობიდან: მიწათ-მოქმედების სამეჯნაო განყოფილების მიწის მზომელი მ. მ. ელიოზოვი წინასწარ გარემოების დანახვით, ბრალდების დადებით დანაშაულასათვის, რომელიც მოხსენებულია 377 მუხ. სასჯელთა დებულებაში.

№ 311.

დათხოვნილია: სახელმწიფო მამულის „იგუმნოვოს“ მოურავი პ. გ. იზმაილოვი ავადმყოფობის გამო მისი თხოვნის თანახმად ამა წლის ენკენისთვის 15 დან.

15 აგვისტო, 1919 წ., № 312.

ნ. დ. სოკოლოვმა მაუწყა, 257 №-ით, ვინაიდან ჩემ მიერ გაცემულ ბრძანების შინაარსის გაცნობის შემდეგ, მას პირადად არ შეუძლია მიიღოს მინისტრის საბჭოს წევრის თანამდებობა,—დაადგინეს: ბრძანება 257 №-ით გაუქმდეს და ეთხოვოს ნ. დ. სოკოლოვს მიიღოს თავის თავზე მხოლოდ კერძო დავალება მიწათ-მოქმედების სამინისტროს უწყების დაწესებულებათა განხილვა ახალციხის, ახალქალაქის და გორის მაზრებში, ამ დაწესებულებათა საქ. ანგარიშების შედგენა და სასურველ ცვლილებების შეტანა.

23 ენკენისთვე, 1919 წ. № 313.

დათხოვნილია: სასოფლო მეურნეობის სპეციალისტის თანამდებობიდან ინჟ. ტეხნ. ე. ქ. როლლოვი მისი თხოვნის თანახმად ამა წლის ღვინობ. 1-დან.

ინიშნება: სასოფლო მეურნეობის სპეციალისტი ი. ნ. ვორონოვი ამა წლის ენკენ 20-დან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი
ნ. ხომერიკი.

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქ. სამინისტროში.

საზღვარგარეთის პასპორტის შესახებ.

ჩვენი გაზეთის ა/წ. ნოემბრის ნომერში მოთავსებულია ცნობა, რომ ბათომში წასვლისათვის საჭიროა ყველა მოქალაქესათვის საზღვარ-გარეთის პასპორტის აღება.

ვინაიდან ეს ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ მან ამის შესახებ დაგზავნა ცირკულარი შემდეგი შინაარსის:

„გთხოვთ საჩქაროთ მოახდინოთ განკარგულება, გამოქვეყნებულ იქნეს ფართო საზოგადოებისათვის, რომ ბათომის გენერალ გუბერნატორის დადგენილებით სავალდებულოა, რათა ბათომში ჩამსვლელმა მგზავრებმა თან იქონიონ საქართველოს ადგილობრივი პასპორტი და გასასვლელი მთწმობა:

ამ დადგენილების დამრღვევნი დაპატიმრებულ იქნებიან, სამხედრო სასამართლოზე გადაცემით და დასჯილ იქნებიან ციხეში ერთი თვით დაპატიმრებით ან 4,000 მანით დაჯარიმებით.

სამინისტრო სთხოვს გადაბეჭდოს ეს ყველა გაზეთებს, რომელთაც მოთავსებული ჰქონდა ანალოგიური ცნობა.

სამხედრო სამინისტროში.

ჯილდო ზარბაზნის მაროლელთათვის.

სამხედრო სამინისტროს საარტილერიო სექციის უფროსი სთხოვს ქალაქის თვითმმართველობას განკარგულება გასცეს, რათა 12 საათზე ზარბაზნის მსროლელ ჯარისკაცებს ზედმეტი მუშაობისთვის მიეცეს დღეში 14 მან. თვითეულს.

ფინანსთა სამინისტროში.

მრეწველობის აღსადგენათ.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო ახლო მომავალში იწვევს თათბირს ომის გამო დახურულ სამრეწველოების აღსადგენათ ზომების შემუშავების შესახებ. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქთა კავშირის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

მიწის დათმობა გვარდიელთათვის.

მიწათ მოქმედების სამინისტრომ ყარაიაზის სახელმწიფო მამულში 1000 დესეტინა სახნავ-დაუთმო სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს რომელმაც უკვე გაგზავნა იქ სასოფლო სამეურნეო იარაღები მიწის მოსახნავათ.

მიწის დათმობა რკინისზელებისთვის.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა 200 დესეტინა სახნავი მიწა დაუთმოს სახელმწიფო რკინის გზების კავშირს ყარაიაზში.

ბოტანიკურ საბჭოს ახალი წევრი.

ბოტანიკურ ბაღის საბჭოს წევრათ აირჩიეს ბოტანიკოსი ი. ვორონოვი.

საცდელი მინდვრის გადმოტანა.

ქუთაისის საცდელი მინდორი განზრახულია გადატანილ იქნეს აჯამეთში. ამ საკითხის გადასარკვევათ სამინისტროს სასოფლო სამეურნეო ნაწილის გამგე დ. გედევანიშვილი ქუთაისის გუბერნიაში მიემგზავრება.

ნათესების მობალახიანების გამოკვლევა.

სახელმწიფო მამულში კაულარში (ბორჩალოში) განზრახულია სახელმწიფო ცხენის გასაშენებელის მოწყობა, რისთვისაც უკვე შეძენილია 22 ჯიშიანი ფაშატი ცხენი. გასაშენებელის მოსაწყობათ მიემგზავრება განსაკუთრებული კომისია.

საჭირო ნიხრის გადიდება.

მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭომ დაადგინა: სიძვირის გამო ხარჯების გადიდებისა და მეჯოგეობის მეურნეობის ღირებულების გაზრდის გამო მომავალ ზამთრისთვის გადიდებულ იქნეს საბალახოების იჯარის ფასი, გადიდდეს. საბალახოების საიჯარო ნიხრი არ გადიდებულა 1918 წლიდან. ნიხრი გადიდებულია 4 ჯერ. უმაღლესი კატეგორიის საბალახოს თითო დესეტინის საიჯარო ფასი გადიდებულია 36 მანეთამდე, საშუალო კატეგორიის—27 მანეთამდე, დაბალი კატეგორიის—17 მანეთამდე. ერობებს უფლება ენიჭებათ ეს ნიხრი გაადიდონ, ან შეამცირონ 50 პროცენტით, თიონეთის მაზრისთვის კი 75 პროცენტამდე, თუ ამას ერობა დათახმდა.

ბოტანიკური ბაღი.

მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭოს სხდომაზე ბოტანიკურ ბაღის დირექტორმა ინჟ. ა. ხ. როლლოვმა მოხსენება გააკეთა ხსენებულ ბაღის მდგომარეობის შესახებ; რადგანაც ბაღის შესაკეთებლად დიდი ხანია, არ გადაუდვიათ თანხა, იქ ბევრი რამაა გაფუჭებული და დაძაბუნებული. ბაღის შენობების, წყალსადენის, ორანჟერეის და „პარნიკების“ შესაკეთებლათ და აგრეთვე როგორც ბაღის, ისე მის განყოფილების წყალსადენის ქსელის გასაფართოვებლათ საჭიროა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღიძრას, რომ ამ მიზნით 482, 500 მან. გადაიდოს.

საბჭომ მოისმინა რა ეს მოხსენება, წინადადება მისცა ბოტანიკურ ბაღის გამგეს ხარჯთ აღრიცხვის ყოველი მუხლი დაწვრილებით დაასაბუთოს და ამის გარდა საბჭომ სურვილი გამოსთქვა, რომ ბოტანიკურ ბაღის გამგეობამ დაინტერესებულ დაწესებულებებს და საზოგადოებას—პრესის საშუალებით გააცნოს ბოტანიკურ ბაღის მუშაობა, მისი მიზნები და მომავალ მუშაობის უახლოესი გეგმა; ბოტანიკურ ბაღის სამეცნიერო ძალების უახლოესი ნაბიჯები გადადგმულ უნდა იქნეს საქართველოს ფლორის შესწავლისკენ და საბჭოს შემდეგ სხდომას დაწვრილებითი მოხსენება უნდა წარედგინოს საქართველოს მცენარეულობის შესწავლის გეგმისა და ბოტანიკურ ბაღის მოქმედების შესახებ.

საგარეო საქ. სამინისტროში

ხელშეკრულების დადება.

7 ნოემბერს საქართველოს მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის ნ. ქარცივაძის და ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის დ. მგელაძის სახით და ბათუმის ოლქის სამხედრო სარდლობის ფოსტა-ტელეგრაფის სექციის უფროსის კაპიტან გოუტის სახით,—შორის დაიდო ხელშეკრულება რესპუბლიკისა და ინგლისელების მიერ დროებით დაპყრობილ ბათუმის ოლქის შორის ფოსტა-ტელეგრაფის ურთი-ერთობის აღდგენის შესახებ. ფოსტა-ტელეგრაფის კავშირი განახლდება სავსებით-ფულის გადაგზავნა ტელეგრაფი და ფოსტა-დეპეშები შეიძლება გაიგზავნოს ბათუმში და ბათუმიდან საქართველოში ქართულ და სხვა ენებზე. ეს შეთანხმება ძალაში შედის ამა წლის ნოემბრის 10 დან.

დამფუძნებელი კრება

(გაგრძელება)

რ. არსენიძე. ამ საკითხის შესახებ შეიძლება ბევრი არ გველაპარაკნა, მაგრამ ვინაიდან მოსალოდნელია ზოგიერთი გაუგებრობა გამოიწვიოს ამ საკითხმა და ბევრმა სადემაგოგიოთ გამოიყენოს იგი, საჭიროთ ვთვლით ამ საკითხს დაწვრილებით შევეხოთ. ჩვენ წინ დევს ის ქალალდი, რომელიც წარმოადგინეს სოციალ-ფედერალისტებმა ისინი თხოულობენ აირჩეს კომისია, რომელიც ადგილობრივათ გამოარკვევს საქმის ვითარებას. რას ნიშნავს ეს? ან კომისიამ უნდა შექნას კანცელიარია, მთელი შტატი მოხელეებისა, ან და თვით იაროს და არკვიოს საქმის ვითარება. ერთიც და მეორეც საქმეს ართულებს. დამფუძნეაელ კრების კომისია, რომ შეუდგეს მუშაობას მას რამდენიმე თვე დასჭირდება მასალების შეგროვებისათვის. თუ გვინდა, რომ დაზარალებულთ სასწრაფოთ აღმოეჩინოთ დახმარება მაშინ კომისიის არჩევა მიზან შეუწონელი იქნება. ეს მუშაობა უნდა შეასრულოს ერობებმა, მთავრობამ. ამ შემთხვევაში კანონმდებლობითი ინიციატივა ძნელია. ძალიან საეჭვოა, რომ შვიდმა ან რვა კაცმა ახლო მომავალში სათანადო კანონ-პროექტი შეიმუშაოს. ეს უნდა მთავრობას დავავალოთ. ჩვენ შეგვიძლიან ეხლავე გავიღოთ საჭირო თანხა, მაგრამ განა ეს არსებითად საქმეს უშველის, გლეხობას პური ესაჭიროება და არა ფული. პური კი ჩვენ ბაზარზე არ იშოვება. ამ საქმის მოგვარებას რთული მუშაობა ესაჭიროვება. იძახიან გადასახადები აპატიეთო. ეს არაფერ შუაში.—დარჩება ხალხი დამშეული—და შერჩება ხელში ცარიელი ფული, რომლითაც პურს თვით ვერ იშოვნის. ყველა ამის გამო ვამბობ, რომ დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენის საკითხს სრულიადაც არ უნდა დაუკავშირო გადასახადები. გადასახადების საქმე ეხლა ეწყობა და ერთ საქმეს, რომ აკეთებთ მეორე არ უნდა დაშალოთ. ჩვენში არ არის ფულის გასაჭირი, არის პურის ნაკლებლობა და ამ მხრივ უნდა აღმოეჩინოს ხალხს დახმარება.

კამათი შესწყდა. მიიღეს სოც.-დემოკრატების წინადადება, რომლითაც ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოარკვიოს თუ რამდენათ დაზარალებულია ხალხი და წარმოადგინოს სათანადო პროექტი დაზარალებულთა დასახმარებლათ.

გრ. ურაკაძის მოხსენების თანახმად უკამათოდ მიიღო დამფუძნებელმა კრებამ დეკრეტი ყოფილ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ხარჯების დასაფარავად 100,000 მან. გადადება.

დეკრეტი ვექილობის განსაზღვრის და ნაფიც ვექილთა ახალი საბჭოს არჩევისა.

კ. ნინიძე. მოახსენებს, რომ ამ დეკრეტის თანახმად უნდა მოეწყოს ახალი საბჭო ნაფიც ვექილთა. ძველი საბჭო არჩეულ იყო 17 წელს, როდესაც ტფილისის ოლქის სასამართლოში შედიოდა არა საქართველოს ტერიტორიებიც. ნაფიც ვექილთა კორპორაცია არსებობს სასამართლოსთან, მას დაკისრებული აქვს სახელმწიფოებრივი ფუნქციები და ამ კორპორაციის წევრათ შეიძლება იყვნენ მხოლოთ საქართველოს ქვეშემრდომნი.

სერგო ჯაფარიძეს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით შეაქვს წინადადება, რომ უცხო სახელმწიფოთა ქვეშემრდომთ მიეცეთ უფლება ის საქმეები, რომლებიც დაწყებულ ჰქონება 20 წლის პირველ იანვრამდე დაამთავრონ, აგრეთვე საქართველოს მთავრობას მიეცეს უფლება შეუთანხმდეს სხვა სახელმწიფოებს, რომ საქართველოს ვექილებს უფლება ქონდეთ სხვა სახელმწიფოების სასამართლოებში აწარმოვონ საქმეები, მათ ვექილებს კი ჩვენს სასამართლოში.

გრ. ვეშაპელის მოხსენების თანახმად მიიღეს დეკრეტი ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს და თიანეთის მაზრაში საექიმო ხარჯისათვის 404,810 მან. გადადების. მიიღეს კანონ-პროექტი საქართველოს გზა ტკეცილის სამმართველოს წასული წლის ხარჯის დასაფარავად 180,700 მან. გადადების.

ივ. ჭავჭანიძე. მოახსენებს კანონ-პროექტს რკინის გზის მილიციის დამატებითი შტატებისთვის გაწეულ ხარჯების დასაფარავათ 580,500 მანეთის გადადების. კანონ პროექტი უკამათოდ მიიღეს.

საბიუჯეტო საფინანსო კომისიის სახელით ს. მდივანი იძლევა წინადადებას აირჩეს ბანკის მმართველობის და ბანკის საბჭოს წევრთა საარჩევნო სარეკომენდაციო კომისია. გადაწყდა ასეთი კომიისის არჩევნები მოხდეს შემდეგ სხდომაზე.

იოს. ბარათაშვილი მოახსენებს დამფუძნებელ კრებას, ფედერალისტების-მთავარმა კომიტეტმა მიიღო დეპეშა, რომ სოფელ ვანის (ქუთაისის მაზრის) საეკლესიო-საერისკაცო კომისია იღებს ქრთამებს კერძო პირებისაგან და გლეხებისაგან. ასეთი დეპეშები გაეგზავნა იუსტიციის და მიწათ-მოქმედების სამინისტროებს. ფრაქციის სახელით ბარათაშვილი ეკითხება მთავრობას თუ რა ზომები იქნა მიღებული?

ნ. ხომერიკი. (მიწ. მოქ. მინ.) განმარტავს, რომ მას ასეთი დეპეშა მიიღეს 30 ოქტომბერს, 31 გაეგზავნა ქუთაისის ერობას რომ მოეხდინა სასწრაფო გამოძიება. და თუ დეპეშაში აღნიშნული ამბავი დაშტკიცდება დაუყონებლივ გადააყენონ კომისია და პასუხის გებაში მიეცენ დამნაშავენი.

საქართველო და იტალია.

იტალიაში საქართველოს დელეგაციის ჩასვლის შესახებ გაზეთი „ჯორნალე დ'იტალია“ სწერს:

„გრაფ სფორცმა მიიღო საქართველოს მისია ტფილისიდან პირდაპირ რომში ჩამოსული.

მისიაში შედის თავმჯდომარე კ. საბახტარიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი, სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი აბხაზი, მრეწველი ბ. ნიკო ჯაყელი, საქართველოს რესპუბლიკის ოფიციოზის „ბორბას“ რედაქტორი ბ. ვოიტინსკი. მდივანი ქ-ნა ემა ვოიტინსკისა და ლეიტენანტი აბხაზი.

როგორც ვიცით მისიას დავალებული აქვს იტალიისა და საქართველოს შორის პოლიტიკურ-ეკონომიური კავშირის განმტკიცება, რომლის შესახებაც მუშაობდა იტალიის წარმომადგენელი საქართველოში პოლკოვნიკი ბ-ნი გაბბა.

იტალიის საზოგადოებრივი წრეები სიხარულით და პატივისცემით მიესალმებიან კავკასიის რესპუბლიკიდან ჩამოსულ ახალ სტუმრებს, რომელნიც პარიზის სამშვიდობო კონფერენციიდან მოელიან თავიანთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღიარებას“.

გაზ. „ჟურნალ დ'იტალიის“ თანამშრომელი ბ-ნ საბახტარიშვილთან.

ბ-ნ საბახტარიშვილთან ინტერვიუ ჰქონია გაზეთ „ჟურნალ დ'იტალია“ ს თანამშრომელს, რომელსაც მან მისიის თავმჯდომარემ განუცხადა შემდეგი:

„მისია,—რომლის მეთაურადაც მე ვითვლები,—უპირველეს ყოვლისა საჭიროდ სთვლის გადმოგცეთ საქართველოს მთავრობის თქვენდამი კეთილ მეგობრული განწყობილება და გულწრფელი სალამი; მისიას მიზნათ აქვს დასახული ჩვენს შორის უმთავრესად მჭიდრო ეკონომიურ კავშირის შექმნა და განმტკიცება. ევროპიდან ჩვენ უნდა მივიღოთ საშუალება ჩვენს რესპუბლიკაში დაგროვილი დიდი ბუნებრივი სიმდიდრის ექსპლოატაციის. ამ შემთხვევაში ჩვენ განსაკუთრებული იმედები გვაქვს იტალიისა, რომელსაც ჩვენის მხრით შეგვიძლია მივაწოდოთ საჭირო საქონელი მაგ. ქვანახშირი, რკინა, სპილენძი, თითბერი, სხვა და სხვა ჯიშის ხე-ტყე, მატყლი, ტყავი, თუთუნი და სხვ. ჩვენმა პირველმა შეხვედრამ იტალიის მმართველ წრეებთან დაგვანახა, რომ იტალია განსაკუთრებით საჭიროებს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეში. მისიის უმთავრესი მოვალეობაც იმაში მდგომარეობს, რომ გამოიკვლიოს, და შეიმუშაოს ფორმა იტალიასა და საქართველოს შორის მჭიდრო კავშირისა.

ჩვენ ამას ვამბობთ არა მარტო საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ, არამედ ჩვენ შორის ნაოსნობის განვითარებისა და იტალიური კაპიტალით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებაც.

სომხეთ აზერბეიჯანთან დამოკიდებულების შესახებ მისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სომხეთთან საქართველოს აქვს დავა საზღვრების საკითხში, მაგრამ ასეთი საკითხები ჩვენ იმედი გვაქს მშვიდობიანის გზით გადაიჭრებაო. ჩვენ მშვიდობისა და შრომის მოყვარენი ვართ და ჩვენი სურვილია მხოლოდ საშუალება მოგვეცეს კეთილი გრძნობების გამოსააშკარავებლად. ჩვენ ვიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობასა და ღრმად დარწმუნებულნი ვართ, პარიზის სამშვიდობო კონფერენცია იცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს ინტერვიუ გადაბეჭდეს იტალიის გაზეთებმა: „პერსევარანცა“ და „სოლე.“.

სენატში

ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრებათ დანიშვნა.

სენატის თავმჯდომარის განკარგულებით ქუთაისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგები ნესტორ მათეს ძე იამანიძე და

მელიტონ მიხეილის ძე ჰეიშვილი იმავე სასამართლოს წევრებათ დაინიშნენ 3 მოემბრიდან.

სამოქალაქო დეპარტამენტის სხდომები.

სენატის სამოქალაქო დეპარტამენტის საკრებულოს სხდომები შესდგება 14 და 17 ნოემბერს.

სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის სხდომები.

სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განმკარგულებელი სხდომები შესდგება სამშაბათობით, სამოსამართლო სხდომები კი—პარასკევობით.

მოუსავლოგით გამოწვეული ნათესების გაფართოვების ზომების საჭიროება.

(მიწათ-მოქმედების სამინისტროდან)

ამ ჟამად უკვე გამოირკვა, რომ წლევანდელმა უმინდობამ დიდი მოუსავლობა გამოიწვია საქართველოში; მთელი გაზაფხული და გაზაფხულის პირველ ნახევრის განმავლობაში განუწყვეტლივ წვიმდა, შემდეგ ხანგრძლივი გვალვა დადგა.

ამის გამო აღმოსავლეთ საქართველოში შემოდგომის პური წვიმებმა ააბალახა და დააწვინა და გაზაფხულის პური კი მთლად გაანადგურა გვალვამ: სავსე მარცვლის ნაცვლად მჩატე გამოვიდა. ალაგ-ალაგ, ტფილისის მაზრის დასავლეთ სამხრეთ მთიან ნაწილში და თელავის მიდამოებში პური სეტყვამაც დაზარალა. დასავლეთ საქართველოში ცივმა წვიმიანმა გაზაფხულმა ჯეჯილის გადამეტებული სისოვლე გამოიწვია და ამიტომ საჭირო გახდა სიმინდის ხელახლა დათესვა. მეორე მხრივ ზოგან გვალვამ და ზოგან წვიმებმა სიმინდის მოსავალი მთლად დაღუპა.

მოუსავლობის სრული სურათი ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება; მისი გამორკვევა იკისრა ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა, რომელმაც მოგზაური სტატისტიკოსები დაგზავნა; ამ უკანასკნელთ საერობო დაწესებულებების, ღალის ამკრებ ორგანიზაციების, სარაიონო კომისიების, კოოპერატივების და სოფლის ყრილობათა საშუალებით მოსავლის დამახასიათებელი ცნობები უნდა შეკრიბოს სტატისტიკურ კომიტეტის მიერ შედგენილ დაწვრილებითი ანკეტით.

ზოგიერთი გამოკვლეულ ადგილებიდან კომიტეტს უკვე მიღებული და დამუშავებული აქვს მასალები და იქიდან სჩანს, რომ წლევანდელი მოსავალი საშუალოზე გაცილებით დაბალია; ზოგან კიდევ ნორმალურ მოსავლის ნახევარს ძლივს შეადგენს. ამგვარად ჩვენს ქვეყანას მოელის სასურსათო კრიზისის გამწვავება, რომელსაც ისედაც განიცდის. საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს მცხოვრებთ წინა წლებშიც არ ყოფნიდა საკუთარი პური, მიუხედავად იმისა, რომ 30 მილიონ ფუთზე მეტი ჰქონდა და ყოველ წლივ 6—7,5 მილიონ ფუთამდე ფქვილი და ხორბალი შემოდიოდა, საინტენდანტოსთვის შემოტანილ პურეულობისა და ჯარისთვის საჭირო ქერის გარდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იმავ დროს ბ ასავლეთ საქართველოდან საზღვარგარეთ 3 მილიონამდე ფუთი სიმინდი გადიოდა და ამიერ-კავკასიის სხვა რაიონებშიც 1 მილიონამდე ფუთი უმეტესად ქერი, ნაკლებობა 3—4 მილიონ ფუთს შეადგენს. 1915—16 წ. ომისა და მისგან გამოწვეულ მობილიზაციის და საჭონლის რეკვიზიციის გამო საქართველოში ნათესების რაოდენობა ზოგან 20—30% შემცირდა და სასურსათო პურეულისა და ქერის დაცემამ 1917 წ. ცენტრალურ სასურსათო სამმართველოს ანგარიშით 13 მილიონს მიაღწია. 1917 წელს შემოდგომიდან პურის ფასის აწევამ ნათესობის რაოდენობის საგრძნობლად ზრდა გამოიწვია და ზოგიერთ რაიონებში 25—30% და მეტსაც აღწევდა, ე. ი. ომიანობამდე არსებულ ნათესების ნორმალურ რაოდენობასაც გადააჭარბა; ამავე დროს ზოგიერთი მაზრა (ოზურგეთის, ახალციხის, ახალქალაქის) მტრის შემოსევამ დაზარალა. მიმდინარე წელს ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის მიერ შეგროვილი მასალა ამტკიცებს, რომ 1917 წელს შედარებით მიმდინარე წლის ნათესობის რაოდენობამ ზოგიერთ მაზრაში (ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრის გარდა) შესამჩნევად (20—40%) იმატა; მაგრამ წლევანდელი მოუსავლობა კი უეჭველია, უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს რესპუბლიკას ვიდრე 1917 წელს იყო.

მთავრობისა და ერობათა დაწესებულებების წინაშე სდგას საკითხი: მიღებულ იქმნას საჭირო ზომები, რომ შეერთებულ ძალით ააცდინონ ჩვენ მხარეს მოსალოდნელი მწვავე სასურსათო კრიზისი. ამისათვის კი საჭიროა შემდეგი ზომები:

1) მცხოვრებთათვის თესლის მიწვდენა, და დასავლეთ საქართველოში, სადაც სიმინდი არის განრცელებული, ადრეული პურის (ფეტვი, ღომი, ადრეული სიმინდი) თესვისათვის ხელის შეწყობა, რომ მცხოვრებთ საშუალება მიეცეს ადრე მიიღონ მოსავალი. მცხოვრებლებისთვის მისაწვდენი თესლეულობა, რომელიც კარგად გაწმენდილი და გარჩეული უნდა იყოს, მხოლოდ ადგილობრივ ნაცად ჯიშებიდან უნდა დამზადდეს. არ შეიძლება სარწყავ მინდვრებიდან ავიღოთ თესლი ურწყავ მინდრებისთვის. ამასთანავე საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მთა-გორიან ადგილებში გაზაფხულის პური კარგად ხარობს, ბარში კი შემოდგომის.

2) მცხოვრებთათვის ბოსტნეულობის და ადრეული კარტოფილის თესლის მიწვდენა. კარტოფილი კარგად ხარობს მთის კალთებზე (ახალციხის მაზრა, ლორისა და მანგლისის რაიონი); ფხვიერ, ლამიან და საზოგადოდ ნოყიერ ნიადაგიან ველებზედაც კარგი მოსავალი იცის განსაკუთრებით ადრეულ წითელმა კარტოფილმა. ბოსტნეულობის მოყვანა შეიძლება სხვა და სხვა გვარ კარგად დამუშავებულ და გაპატივრებულ ნიადაგზედ. საქართველოში ბოსტნეულობის კულტურა ძალიან სუსტად არის განვითარებული და მცხოვრებთა საზრდოობისთვის მას ჯერ ჯერობით არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

3) მცხოვრებთათვის სამეურნეო იარაღების, მანკანების და მათი ნაწილების მიწვდენა და აგრეთვე მათი შეკეთების ორგანიზაცია. ამ ჟამად იარაღების შეკეთებას ხელს უშლის რკინეულობის უქონლობა და ოსტატთა რიცხვის სიმცირე. სასურველია რომ ქუთაისის გუბერნიაში მოეწყოს კულტივატორების დამზადება, რომლების საშუალებით იაფად ჯდება მწკრივად დათესილ სიმინდის მოვლა.

4) მთავრობის და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო მამულებში და სხვა და სხვა ადგილებში პურის და ბოსტნეულობის დათესვა, როგორც ეს უკვე მოაწყო სახალხო გვარდიის შტაბმა ყარაიას მამულის მეორე განყოფილებაში.

ამ ჟამად მთავარი საკითხი არის მცხოვრებთათვის სათესლე მასალის მიწვდენა. ამის განხორციელებას უკვე შეუდგნენ სხვა და სხვა ერობები და ამ საქმეში მათ ხელს უწყობს მიწათ მოქმედების სამინისტრო და მომარაგების მთავარი სამმართველო. თავის მხრივ მიწათ მოქმედების სამინისტრომ გამოიკვლია რესპუბლიკის უმთავრეს მოსავლიან რაიონებში, რამდენად წმინდა არის ხორბალი, მიმართა თხოვნით მთავარ სამმართველოს, რომ მან შეისყიდოს ბლომად თესლეულობა ყუბანის ოლქში და აზერბეიჯანში, და გადმოს იქიდან საუკეთესო ხარისხის თესლი ჩვენში დასათესად. ამას გარდა სამინისტრომ მოაწყო ორგანიზაცია ხორბალის გასარჩევად ყარაიაზში, გიაურ-არხში და სხვა სახელმწიფო მამულებში; აღებულ ღალიდან ითესება პური სხვა და სხვა სახელმწიფო მამულებში მუშებისთვის და მოსამსახურეებისთვის მისაწვდენად; სახალხო გვარდიის შტაბს მიეცა 1000 დეს. მიწა ყარაიაზის მამულის მეორე განყოფილებაში. ყველა საჭირო ზომების განსახორციელებლად სამინისტრომ შეადგინა განსაკუთრებული კომისია, რომელიც შედგება მიწათ-მოქმედების სამინისტროს, მომარაგების მთავარ სამმართველოს ერობის ცენტრის და კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენლებიდან.

დასავლეთ საქართველოში, სადაც უმთავრესად გავრცელებულია სიმინდის კულტურა შემოეგი ზომებია საჭირო: ჯერ-ჯერობით შეძლებს და გვარად მეტი ადგილების დათესვა შემოდგომის პურით, და შემდეგში კი ადრბული გაზაფხულის (ღომი, ფეტვი, ადრეული სიმინდი) და აგრეთვე კარტოფილის და ბოსტნეული თესლის მიწვდენა.

დასავლეთ საქართველოს მეურნეობაში გავრცელებული სიმინდი შემოვიდა ჩვენში მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. შარდენი, რომელიც მოგზაურობდა სამეგრელოში მე-17 საუკუნის მე-70 წლებში, ამბობს, რომ მეგრელები ჩვეულებრივად ხვარობენ ღომს; გარდა ამისა სამეგრელოში ითესებოდა ფეტვი, ცოტაოდენი ბრინჯი და პური, ქერი კი ძალიან ნაკლებად იყო გავრცელებული. მცხოვრებლები დასახლებული იყვნენ მთის კალთებზე და იქ მოჰყავდათ მათ ეს პურეულობა. ასი წლის შემდეგ, მეორე მოგზაური გილდენშტენტი (1770—1773) აღნიშნავს, რომ იმერეთში და რაჭაში უკვე სთესავდნენ სიმინდს, მხოლოდ მაშინდელ მეურნეობისთვის მას ალბად დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაც სჩანს იმ გარემოებიდან, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში იმერეთის უკანასკნელ მეფის სოლომონ მეორეს დროს ხალხი იხდიდა გადასახადს პურით, ღომით და ღვინით. შემდეგ კი სიმინდის თესვა ისე გავრცელდა ბარში, რომ მან საგრძნობლად დასცა სხვა გვარი პურის თესვა მოყვანა.

ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაში სიმინდით დათესილი ადგილები აღემატება 90%. 1917 წელს, როგორც გვიჩვენებს აღწერა, სიმინდს ეკავა 93,2% მთელი დათესილ ადგილებისა, მხოლოდ შემოდგომის პურს კი 5,1%. იმავე აღწერის მიხედვით შემოდგომის პურს ეკავა

რაჭის მაზრაში 31,95% მაზრის ნათესი ად გილებისა
ლეჩხუმის „ 30,72% „
შორაპნის „ 8,96% „

დანარჩენ მაზრებში უფრო ნაკლებად არის გავრცელებული შემოდგომის პური. ქუთაისის მაზრაში, როგორც მაღლობ ადგილებზე, (ოკრიბა) აგრეთვე ყვირილის და რიონის ველებზე (სად. რიონის და სამტრედიის შუა) სიმინდიან რაიონებში აქა იქ არიან გაფანტული შემოდგომის პურით დათესილი ადგილები და მხოლოდ სიმინდის მოუვლელობა იწვევს ხოლმე მის მოსაყვანად მეტი ადგილების დამუშავებას. ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის და ლანჩხუთის მაღლობ რაიონებში პურს სთესავენ პატარა ნაჭრებზე, ბარში კი ითესება ალაგ-ალაგ ადგილობრივი ჯიშის ჭვავი და უფრო იშვიათად ბრინჯი. სამეგრელოში, სენაკის მაზრის ჩრდილო ნაწილში (ზემო სამეგრელო) შემოდგომის პურით დათესილი ადგილები ძალიან ცოტაა, დაბალ ადგილებში კი იშვიათად შევხვდებით ხოლმე იმავე ჯიშის ჭვავით დათესილ ადგილებს.

(შემდეგი იქნება)

მუშათა ცხოვრება.

ფარმაცევტთა შორის.

ამ დღეებში შესდგა აფთიაქებში მოსამსახურეთა კავშირის კრება მოსამსახურეთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხის გადასაწყვეტათ. დაადგინეს გადამწყვეტი დადგენილება არ გამოიტანონ და არჩეულ იქნეს კომისია, რომელსაც დაევალოს საკითხის გამოკვლევა.

ხელოსანთა გამგეობის გაუქმების შესახებ.

მუშა მკერავების კავშირმა აირჩია კომისია ხელოსანთა გამგეობის არსებობის საკითხის გამოსარკვევათ. ამავე კომისიას დაევალა საკითხის გამორკვევის შემდეგ ფულის ანგარიში მოეთხოვოს ხელოსანთა გამგეობას, აგრეთვე აუწყოს სხვა კავშირებსაც და გაიგოს მათი აზრი ხელოსანთა გამგეობის არსებობის შესახებ.

რესტორან „შამპანი“-ს ბოიკოტის მოხსნა

რესტორანების მოსამსახურეთა კავშირმა მოხსნა რესტორან „შამპანი“-ს ბოიკოტი, რადგან მეპატრონემ შეასრულა მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი.

მომარაგების ფონდში მონაწილეობა.

სასტუმროების და რესტორნების მოსამსახურეთა კავშირმა მეპატრონეებს მოსთხოვა 1000 მანეთი შეეტანონ „მომარაგების ფონდში“ თითეულ მოსამსახურეთათვის.

სტამბის მუშათა ტარიფი.

სტამბის მუშათა კავშირმა განიხილა ახალი გადიდებული ტარიფის პროექტი და გადასწყვიტა 1 ნოემბრიდან გადიდებულ იქნეს იგი 40 პროცენტით.

საკითხველოს მოწყობა.

სტამბის მუშათა კავშირმა აირჩია კულტურულ განმანათლებელი სექცია, რომელიც მოაწყობს საკუთარ საკითხველოს, ბიბლიოთეკას და შეადგენს მომღერალთა გუნდს.

პურის მცხობელთა შუამდგომლობა.

პურის მცხობელთა კავშირმა შუამდგომლობით მიმართა შრომის კომისარს ან სულ აღკრძალოს ღამ-ღამობით მუშაობა, ან არა და ღამე მუშაობისათვის ორმაგი ფასი დაწესდეს.

უთანხმოება პურის მცხობელთა და ამერიკის კომიტეტის შორის.

პურის მცხობელთა კავშირმა გადასწყვიტა, რადგანაც ამერიკულ კომიტეტის ფურნის გამგეობა არ შეასრულა კავშირის მოთხოვნილებანი, მუშებს ხელი ააღებინოს ხსენებულ ფურნეში, თუ მათი მოთხოვნილებანი 1 კვირის განმავლობაში არ იქნება შესრულებული. მოთხოვნილებები შეეხება მუშებისადმი ცუდათ მოპყრობას, ჯამაგირის მიუცემლობას, მუშებისთვის ბინის და შესაფერი ტანისამოსის უქონლობის და საავათმყოფო ფულის გადაუხდელობას.

კავშირების გაერთიანება.

განზრახულია მოკლე ვადაში გაერთიანდეს პურის მცხობლებთა, ღვინის სარდაფების, ლიმონადის ქარხნების, კალთების ქარხნების, ყასპოების, მაკარონის ქარხნების და მეფქვილეთა მუშა-მოსამსახურეების კავშირთა გაერთიანება. არჩეულია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა იმუშაოს ხსენებულ კომისიების გასაერთიანებლათ.

ზრუნვა უმუშევრებზე.

პურის მცხობელთა კავშირმა გადასწყვიტა უმუშევარ ამხანაგების დასახმარებლათ კავშირის წევრებმა ნახევარი დღის ხელფასი გადაიდონ.

გარნოვის იუბილეიზე.

კვირას, 9 ნოემბერს, ქართველმა საზოგადოებამ ზეიმით გადაუხადა ვასილ ბარნოვს თავისი 30 წლის მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე.

დილის 11 საათზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი სახელმწიფო თეატრთან დიდი მასწავლებლის პატივსაცემლათ. დღის 12 საათზე პატივცემული იუბილარი დავით კლდიაშვილის თანხლებით მობრძანდა. მას ხალხი დიდი ტაშით შეხვდა. თეატრის შესავალთან მას მიეგება ქართველ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი.

პირველის ნახევარზე სახელმწიფო თეატრის საგანგებოთ მორთულ სცენაზე გაიხსნა დღესასწაული ბ. კ. მაყაშვილის თავმჯდომარეობით. პირველი სიტყვა წარმოსთქვა გრ. ყიფშიძემ, რომელმაც გააცნო დამსწრე საზოგადოებას ბარნოვის ბიოგრაფია და მისი მოღვაწეობის ისტორია.

მერე ილაპარაკეს ი. ვართაგავამ, დ. ვ. კოტეტიშვილმა, რომლებმაც ყოველ მხრივ გააშუქეს დიდი მწერლის მოღვაწეობა ამ ოცდაათი წლის განმავლობაში და ის დაუფასებელი ღვაწლი რომელიც მას მიუძღვის ქართულ მწერლობის აღორძინების საქმეში.

ამის შემდეგ იწყება მისალმებანი. პირველად ქართველ მწერალთა სახელით ესალმება დ. კლდიაშვილი, ტფილის ქალაქის გამგეობის სახელით ქალ. მოურავი ბ. ბ. ჩხიკვიშვილი, რომელმაც 5000 მ. გადასცა იუბილიარს. იყო აგრეთვე მთავრობის ტელეგრამა, სადაც ესალმებიან რა იუბილიარს აღუთქვამენ მატერიალურ დახმარებას 10,000 მან.

იუბილიარს ესალმებიან დამფუძნებელ კრების, რედაქციების, გიმნაზიების, ქართულ უნივერსიტეტის და სხვა და სხვა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ყველა წარმომადგენლების სიტყვებიდან აშკარად სჩანდა ღრმა პატივისცემა და სიყვარული მხცოვან მასწავლებლისადმი.

იყო შემოწირულობა სხვა და სხვა დაწესებულებიდან ფულითაც.

უკანასკნელათ იუბილიარმა მოკლე და შინაარსიანი სიტყვით მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, რომლის სიტყვას საზოგადოება ტაშის ცემით შეხვდა.

ამით დამთავრდა საზეიმო დღესასწაული ნაშუადღევის 4½ საათზე. იუბილიარი საზოგადოებამ ტაშის ცემით გაისტუმრა ბინისაკენ დ. კლდიაშვილს თანხლებით.

ქრონიკა.

სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა გარეგინ პოლოსის ძე ავაკიანცი, რომელსაც ბრალდება შამირ მელიქსეტის ძე ტერ-გაბრიელიანცისთვის და მისი ძმის სარიბეკისთვის 72.000 მ. წართმევა 1½ თვის წინეთ, რკინის გზის ვაგონში სადგ. გუმბრისა და ორკილისის შუა.

—

სისხლ. სამ. მილიციამ 3 ნოემბერს დააპატიმრა მთავრობის სტამბის ასოთ-ჩამომსხმელი ნიკოლოზ ვერმიშენკო, რომელსაც ბრალი ედება უკანასკნელ ოთხი თვის განმავლობაში სტამბიდან ასოების სისტემატიურ ქურდობაში,—სულ 30 ფუთამდე, თავის ამხანაგის აღექსი ნიკიტინის და თავის ძმის კონსტანტინესი და აიკ ბელოიანცის დახმარებით. მოპარული ასოების ნაწილი მას მიუყიდნია დათიკო ქოჩიტაშვილისთვის, რომელსაც საკუთარი სტამბა აქვს ველიამინოვის ქ. და უმეტესი ნაწილი კი სააკ მატინიანცის სტამბისათვის, ვორონც. ხიდთან. გაჩხრეკის დროს მატინიანცის სტამბაში აღმოჩნდა 24 ფ. 17 გირ. შრიფტი. დასახელებულნი: ძმ. ვერმიშენკო, ნიკიტინი, ბელოიანცი და მატინიანცი დაპატიმრებული არიან. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მატინიანცის სტამბა დაიკეტა და სტამბის მთელ მასალას კონფისკაცია უქნეს.

ვილიციაში.

სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა გარეგინ პოლოსის ძე ავაკიანცი, რომელსაც ბრალდება შამირ მელიქსეტის ძე ტერ-გაბრიელიანცისთვის და მისი ძმის სარიბეკისთვის 72.000 მ. წართმევა 1½ თვის წინეთ, რკინის გზის ვაგონში სადგ. გუმბრისა და ორკილისის შუა.

—

სისხლ. სამ. მილიციამ 3 ნოემბერს დააპატიმრა მთავრობის სტამბის ასოთ-ჩამომსხმელი ნიკოლოზ ვერმიშენკო, რომელსაც ბრალი ედება უკანასკნელ ოთხი თვის განმავლობაში სტამბიდან ასოების სისტემატიურ ქურდობაში,—სულ 30 ფუთამდე, თავის ამხანაგის აღექსი ნიკიტინის და თავის ძმის კონსტანტინესი და აიკ ბელოიანცის დახმარებით. მოპარული ასოების ნაწილი მას მიუყიდნია დათიკო ქოჩიტაშვილისთვის, რომელსაც საკუთარი სტამბა აქვს ველიამინოვის ქ. და უმეტესი ნაწილი კი სააკ მატინიანცის სტამბისათვის, ვორონც. ხიდთან. გაჩხრეკის დროს მატინიანცის სტამბაში აღმოჩნდა 24 ფ. 17 გირ. შრიფტი. დასახელებულნი: ძმ. ვერმიშენკო, ნიკიტინი, ბელოიანცი და მატინიანცი დაპატიმრებული არიან. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მატინიანცის სტამბა დაიკეტა და სტამბის მთელ მასალას კონფისკაცია უქნეს.

სხვა და სხვა.

ქალაქის თვითმართველობამ ნება დართო ქართულ დრამატიულ საზოგადოებას 4 დღის განმავლობაში ღირსთა გალერეის „ქართულ კლუბში“, „მეორე ქართულ კლუბში“ და „სომხურ კლუბში“.

დამფუძნებელ კრების საერობო და საქალაქო თვითმართველობათა კომისიაში მუშავდება კანონ-პროექტი ბინის ქირის მომატების შესახებ.

ქართ. საბუსიკო საზოგადოებამ და საქ. ცენტრალური კოოპ. კავშირმა სერიოზული ბურთი დებს მიაქციეს კაპელას შემადგენლობას და საქმის წარმოება ნიად გზა დაუყენებიათ, რომ ჩვენ მოყვარენ უკეთეს ხმებს მუსიკალურის მოსაზდებლად. მიღება სწარმოებს სალამოს 5-7 ს. ლესელიძის ქ. № 4.

ბათომის ქართველთა ეროვნული საბჭო წინადადებას აძლევს ყველა მოვალეებს, რომ ამის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში გადახადონ საბჭოს ის ფულები, რომლებიც ირიცხება მათზე—წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ქვარები იქნება გაყიდული და მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული კანონიერი ზომები. ვალის გადახდა შეიძლება საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების და ეროვნების სალაროებში.

მიმდინარე წლის 16 ნოემბერს, კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე კავშირის ბინაზე, პლეხანოვის პროსპექტი № 139, შედგება ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა არაჩვეულებრივი საერთო კრება. გასარჩევია ფრიად საჭირო საკითხები.

აუცილებლათ საჭირია ყველას დასწრება.

პროფესორ დ. კუდრიავსკის წიგნი: „როგორ ცხოვრობდენ ადამიანები ძველათ“ ახალი გამოცემა. გაზეთების საagენტო და გამომცემლობა „იმერეთი“ (ყოფილი „კოლხიდა“) ქუთაისში მალე შეუდგება ზემო გამოცემას პროფ. კუდრიავსკის ზემოთ აღნიშნულ წიგნისას, რომელიც განათლების სამინისტროს საისტორიო კომისიამ ამ დღეებში შეიწონა საქართველოს რესპუბლიკის სკოლებში სახმარებელ სახელმძღვანელოდ პირველ ყოფილ კულტურის შესაწავლად.

წიგნი ხელმეორეთ გადმოქართულებული იქნება მეოთხე რუსულ შევსებულ გამოცემიდან და მას დაერთვის ოცამდე სურათი, პირველ ყოფილ ადამიანთა ცხოვრებიდან.

მთარგმნელს, ის. კვიციარიძეს უკვე ამ დღეებში გაეგზავნა განათლების სამინისტროს დირექტორ ეუკოლ ბერიძისაგან წინადადება დაესწრებინა ხსენებულ წიგნის მოწონების, შესწორების და გამოცემის შესახებ.

ნოემბრის, 8, საღ. 10 საათზე ჩქარი მატარებლით გაემგზავრა თელავში ამიერ კავკასიის უმაღლესი კომისარი გენ. ოლივერ უორდროპი და დაბრუნდა ტფილისში 10 ნოემბერს შუადღის 2 საათზე.

ნოემბრის 8-ს ბათუმიდან ბორჯომში ქალაქის გაგზავნას მოუვიდა 27 ვაგონი კანადის პური და 10 ნოემბერს ბათუმიდანვე ტფილისში სასურსათო საბჭოს სახელზე გაგზავნილია 46 ვაგონი ასეთივე პური.

რათა არ გაჭიანურდეს ღამის მატარებლების უბედური შემთხვევები, რომელთაც რამდენიმეჯერ ჰქონდათ ადგილი, გზათა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსის განკარგულებით, ჩქარი მატარებელი № 1 წასვლის 1 საათის წინ გაიგზავნება გორამდე შეიარაღებული მატარებელი.

ნოემბრის 6 ს ტფილისიდან ბაქოში გაიგზავნა 5 ცარელი სახარშრუტო მატარებელი თვითეულში 55 ცისტერნა. ამ მატარებელმა უნდა ჩამოიტანოს ნავთი ქართული გზებისთვის და სამრეწველო მიზნებისთვის. მატარებლება გაგზავნილია ორკეცი შემადგენლობით ე. ი. 20 ორთქლმავალის ბრიგადა —30 კაცი და 10 კონდუქტორების ბრიგადა —80 კაცი. პირველი გამოვიდა ბაქოდან დატვირთული 10 ს. დილით.

შეცდომის გასწორება.

საზღვარგარეთ გასაგზავნ ახალგაზდათა სიაში, (პირველი სია № 9) დაბეჭდილია: კვარხელია, უნდა იყოს: კვარაცხელია.

განცხადებანი

ალექსანდრე არტაშესის ძე დრამპოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ხელშეკრულება, მიღებული ტფ. ნოტარიუსისგან 1919 წ. ნოემბრის 1 ს, №№ 2388, 2390 და 2392 სამი ცალი არტაშეს ბოგდანის ძე ალექსანიანის და ივანე ბეგლარის ძე ვართანოვის სახელზე.

89 3—3

აკაკი მალაქიას ძე ჭუმბაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ პედაგოგიურ ინსტიტუტის მეტრიკული (უნომრო) გაუქმებულად ჩაითვალოს.

3—3

ელენე ასათიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარ მატრიკული № 14, მიღებული სახელმწიფო უნიყერსიტეტიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

89 3—3

ნიკოლოზ დავითის ძე გრიგორიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილ. ოლქ. სასამ უფროსი ნოტარიუსის მიერ. 1907 წლ. იანვრის 2-ს, რეესტრი 55.

80 3—3

საზღვარ-გარეთ გასასვლელი პასპორტი მიცემულია შინაგან საქ. სამინისტროდან 1292 ამა წლის ოქტ. 3-ს მოხდეს ჩერემაშვილისათვის. შ. ს. ს. ალმ. განყ.

65 3—3

მარიამ ვასილის ასული მელანიასი აცხადებ, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 15 მიღებული ქუთაისის მდებარე მოქალაქეთა სამართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

81 3—3

პოლკოვნიკი საგინოვი აცხადებს, რომ მას ყაჩაღებმა წაართვეს სახაზინო საღერბო ბეჭედი წარწერით (სამ. ნაწ. გამგე მე 6 დარ. სწ. რ.) ბეჭედი გაუქმებულათ ითვლება.

82 3—2

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 2 მარიობისთვეს 1919 წ. დამტკიცდა 25 მარტს 1919 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული ნიკიფორე გიორგის ძე ზუხუნაშვილის მიერ ანასტასია სპირიდონის ასული კუპრავაძე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში ჰაეჰვაძის ქუჩაზე ზომით ა. $4^{12}/_{100}$ ს. დ. $3^{60}/_{100}$ ს. ბ. 19 ს. და ს. 20 ს. 300 მანეთად. სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 40 მ. 40 კ.
ბეთავარი ამონაწერი 11 მ. ღერბის ქალალდზე მიცემულია.

2035 1—1

გიორგი გრიგორის ძე კუჭანაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საბუღალტრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან და მეტრიკული მოწმობა მიღებული სოფ. მარტყოფის ეკლესიიდან. საბუთები გაუქმებულათ ითვლება.

94 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 5 მარიობისთვის 1919 წ. დამტკიცდა 22 ივლისს 1919 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული ვასილ გრიგორის ძე, იგივე გიორგის ძე ხვედელიას მიერ ვარდენ გიორგის ძე ხვედელაძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, ბალახვნოვის ქუჩაზე, შენობით ზომით 100 კ. ს. 2000 მანეთად

სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 80 მ.
მთავარი ამონაწერი 20 მ. ღერბის ქალალდზე მიცემულია.

2041 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 20 ივნისს 1919 წ. დამტკიცდა ივნისის 21 დღესა 1917 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული მოქ. სეფე ივანეს ძე მხეიძეს მიერ მოქ. დავით ანტონის ძე ტოგონიძესადმი, უფლება $^1/_2$- ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ახალსენაკში სენ. მაზრ. ზომით 223 კ. საჟ. 500 მანეთად;
სიმტკიცის ბაჟი გადახდილი 20 მან.
მთავარი ამონაწერი 2 მ. 50 კ. ღერბის ქალალდზე მიცემულია.

2044 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 7 მარიობისთვეს 1919 დამტკიცდა 9 ოქტომბერს 1918 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული მელიტონ დავითის ძე და მარიამ იოსების ასული ჩხეიძეების მიერ მაქსიმე სოფრომის ძე ზვიადაძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, ბესხეთის ქუჩაზე შენობით ზომით 20 ს. და განი. 15 ს.

სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 40 მ.
მთავარი ამონაწერ 10 მ. ღერბის ქალალდზე მიცემულია.

2036 4—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 9 ოქტომბერი 1919 წ. დამტკიცდა 4 მარიობისთვეს 1919წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული მოქალაქე ივანე კონსტანტინეს ძე კაუხჩევის მიერ სანრძნეთის ქვეშემდომს პანაიოტ აპოსტოლის ძე სალონიკიდისადმი 2 ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ფოთში 10 უბანში ლევაშევის და მარსკოი ქუჩის კუთხეში №№ 95 და 96. ზომით 786 კ. ს. 33000 მანეთად
სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 2400 მ.
მთავარი ამონაწერი 600 მ. ღერბის ქალალდზე მიცემულია.

2045 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 18 ივნისს 1919 წ. დამტკიცდა 25 იანვარს 1918 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული კონსტანტინე მიხაილის ძე სიმარიაკოვის მიერ შგერ ირლიკოვის ძე ლურიაზე ნაკვეთი მიწისა მდებარე სოფ. მიხინდჟური დ კარადერე, კონტრიშის ნაწილში, ბათუმის ოლქში ზომით 4 დესეტინა 420 კ. ს. 100,000 მანეთად
სიმტკიც ს ბაჟი გადახდილია 4000 მ.
მთავარი ამონაწერი 500 მ. ღერბის ქალალდზე მიცემულია.

2037 1—1

მიხეილ ივანეს ძე ცაგარეიშვილი აცხადებს რომ მახ დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან და პარტიული მანდატი ს. ფედერალისტთა პარტიიდან მიღებული.

84 3—3

ვარლამ სოფრომის ძე მიმინაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 167, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

96 3—1

ალექსანდრე ბიტაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ალაგირის სამხედრო სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

97 3—1

ტფილ. სასამართლო პალატა აცხადებს, რომ დასახებული პალატის ოლქის ნაფიც ვეჭილოთა საბჭოს დადგენილებით, ვასილი თედორეს ძე სოლოვიოვი, თანახმათ პალატის დეპარტამენტთა ამა წლის ივლისის 16 ს დადგენილებისა, შედგენილია პალატის ნაფიც ვეჭილთა სიაში და დაფიცებულია.

1434 1—1

ტფილისის სასამართლო პალატა აცხადებს, რომ დასახებულ პალატის ოლქის ნაფიც ვეჭილთა საბჭოს დადგენილებით, გრიგოლ იოსების ძე ლომინაძე, თანახმათ პალიტის დეპარტამენტთა ამა წლის ივნისის 16-ს საზოგადო კრების დადგენილებისა, შეტანილია პალატის ნაფიც ვეჭილთა სიაში და დაფიცებულია.

1434 1—1

ტფილისის სასამართლო პალატა აცხადებს, რომ დასახებულ პალატის ოლქის ნაფიც ვეჭილთა საბჭოს დადგენილებით ივანე მიხეილის ძე სულიაშვილი, თანახმათ პალატის დეპარტამენტთა ამა წლის ივნისიის 16 ს საზოგადო კრების დადგენილებისა, შეტანილია პალატის ნაფიც ვეჭილთა სიაში და დაფიცებულია.

1434 1—1

ტფილისის სასამართლო პალატა აცხადებს, რომ დასახებულ პალატის ოლქის ნაფიც ვეჭილთა საბჭოს დადგენილებით, ილია გიორგის ძე ფირცხალაიშვილი, თანახმათ პალატის დეპარტამენტთა ამა წლის 5 ივლისის საზოგადო კრების დადგენილებისა, შეტანილია პალატის ნაფიც ვეჭილთა სიაში და დაფიცებულია.

1434 1—1

ტფილისის სასამართლო პალატა აცხადებს, რომ დასახებულ პალატის ოლქის ნაფიც ვეჭილთა საბჭოს დადგენილებით, მარკოზ პავლეს ძე შუკიანი, თანახმათ პალატის დეპარტამენტთა ამა წლის 16 ივლისის საზოგადო კრების დადგენილებისა, შეტანილია პალატის ნაფიც ვეჭილოა სიაში და დაფიცებულია.

1434.

დაკარგულია ატესტატი ექვს კლასიან საქალაქო რკინის გზის სასწავლებლისა ვიქტორ ბრდინკევიჩის სახელზე, გაუქმებულათ ითვლება.

88 3—1

გიორგი სიმონის ძე ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შინაგან სამინისტროდან მიღებული რეგისტრაციის მოწმობა, და მოწმობა მილებული—ტფილ. საქ. სადგ. კონტრაქტიდან. მპოვნელს სთხოვს დაუბრუნოს მოწმობები შემდეგი მისამართით: ტფილ. საქ. სადგ. გიორგი ლორთქიფანიძის, წინადმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ითვლება.

85 3—1

ახალქალაქის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 1 მაისს 1918 წ. გარდაცვალებულის გორის მაზრის სოფ. ახალქალაქის მცხოვრებ. პელაგია იორამის ასულ თარხანიშვილს მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ უფლება თარხანიშვილის ქონებაზე მე 1241 მ. ს. ს. წ. აღნიშნულ ვადაში.

90 1—1

დაკარგულია ერთ წლიანი სამხედრო. ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, აღებული ქუთაისის სამხედრო უფროსის კანცელარიიდან გრიგოლი ირაკლის ძე ბაკურაძეს მიერ. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.

87 3—1

ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი ქეთევან გარსევანიშვილის ასული აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 1 ლ და 2- სემესტრის სალექციო წიგნაკი № 360 აღებული უნივერსიტეტის კანცელარიიდან. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს შემდეგი მისამართით: კომიის ქუჩა № 8 ბინა გარსევანიშვილისა.

86 3—1

ახალქალაქის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 4 იანვარს 1886 წ. გარდაცვალებულის გორის მაზრის დაბა ახალქალაქის მცხ. ანასტასია იორამის ასულ თარხანიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თარხანიშვილის ქონებაზე მე 1241 მ. ს. ს. წ. აღნიშნულ ვადაში.

90 1—1

ვექილობა მიცემული პარეირ ეივანეს ძე მსაგულიანცის მიერ არშაკ ნერსესის ძე გაგრამანიანცის ზე, დამტკიცებული ტფილისის ნოტარიუსის მიტკევიჩის მიერ რეესტრით № 3871 ივლისის 18 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

92 3—1

სტეფანე მიხეილის ძე ტორიკაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი და № 87 საზღვარ გარეთ წასვლის ნებართვა, მიღებული ტფილ. ქალ. მილიციიდან 1919 წ ივნისის 5-ს.

83 3—2

სისხლ. სამ. წარმ. წესდ. მე 846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმად, ტფილ. მე 4 უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით ეძებენ პეტრე თეოდორეს ძე პაპოვს და ანასტასია დანილოვის ასულს კონიტას.

ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ეს პაპოვი და კონიატი ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს, დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მათი ქონება, ვალდებულნი არიან გადასცენ იგი საოპეკუნო სასამართლოში.

34 1—1

სისხ. სამ. წარმ. წესდ. მე 846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმად, ტფილისის მე 4 უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით ეძებენ ამირ ხაჩატურის ძე აკოპიანცს ბრალდებს ქურდობაში.

ყველა, ვინც კი იცის სად ცხოვრობს ეს ამირ აკოპიანცი ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს, დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულნი არიან გადასცენ იგი საოპეკუნო სასამართლოში.

35 1—1

სისხლ. სამ. წარმ. წესდ. მე 846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმად, ტფილისის მე 4 უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით ეძებენ ავეტიკ ტატევოსიანცს ბრალდებ. მიხეილ არესტოვის მოტყუებაზე.

ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ტატევოსიანცი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან გადასცენ საოპეკუნო სამმართველოს.

37 1—1